

მუხლი 53.

სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელიობა;

გ) აკადემიური შევებულება;

დ) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;

ე) სტუდენტის მიერ სემესტრის განმავლობაში სასწავლო გეგმი გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვის 35%-ზე მეტის გაცდენა.

2. სტუდენტს აკადემიური შევებულება ეძლევა:

ა) უცხოეთში სწავლის გაგრძელების მიზნით;

ბ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო;

გ) მძიმე ავადმყოფობის მიზეზით;

დ) ოჯახის ავადმყოფ წევრებზე მეურვეობის მიზნით;

ე) ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო;

ე 1) იმ ენის შესწავლის მიზნით, რომელზედაც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამა; (23/8. 24.12. 2012)

ვ) სხვა საპატიო მიზეზის გამო.

3. სტატუსშეჩერებული სტუდენტი სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, საიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.

4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემდგომ, კანონმდებლობით დადგენილი წესით სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება იმ ტარიფის შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა სტუდენტთან ხელშეკრულების დადების დროს, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. (N23/3, 20.02.2015წ)

5. სემესტრის დაწყებიდან არა უგვიანეს 6 კვირის განმავლობაში სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში მიმდინარე სასწავლო წლის უკვე გადახდილი თანხა ჩაითვლება მომავალი სწავლის საფასურის ანგარიშში.

6. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი.